ამონაწერი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმიდან

თარიღი: 25 იანვარი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 7. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2022 წლის 25 იანვრის მდგომარეობით, ასოციაციის 378 წევრს უფიქსირდება 2021 წლის საწევრო დავალიანება, ხოლო 3141 წევრს 2022 წლის საწევრო დავალიანება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და ასოციაციის ყველა მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია 2021-2022 წლების საწევრო

დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხზე მსჯელობა.

მსჯელობის შედეგად, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. **ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

(ა) 2022 წლის 07 თებერვლიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;
(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11;
(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 07 თებერვალი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღე;

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^{3} მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნტის თანახმად, 2021 -2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე, საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა სია, ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge და ამასთან, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე

მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 21 თებერვალი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 28 თებერვალი.

(ი) 2022 წლის 07 თებერვლის 12 საათამდე, დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე